ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №9/105

CPV 55330000

(სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მომსახურების შესყიდვაზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით)

ქ. თბილისი

02 ნოემბერი 2017 წ.

ერთის მხრივ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი (შემდგომში წოდებული „შემსყიდველად”), წარმოდგენილი კანცლერის, ზურაბ ორჯონიკიძის სახით და მეორეს მხრივ შპს „მუხამბაზის ბაღი“ (შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად”), წამოდგენილი დირექტორის, სოფიკო თავაძის სახით, ვდებთ ამ ხელშეკრულებას (საფუძველი თსსუ-ს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის დ. დელიბაშვილის მოხსენებითი ბარათი, კანცელარიის #MES 3 17 01290671, 20.10.2017წ.) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. გრენობლის (საფრანგეთი) მენეჯმენტის აკადემიის (Uniman) დელეგაციის (მარიამ წითლანაძე-ჟოკაი, სებასტიან ჟოკაი) ვიზიტთან დაკავშირებით სადილის მოწყობა 4 პერსონაზე რესტორანში „თბილისური მუხამბაზი“.

2. მომსახურების გაწევის წესი და ღირებულება

2.1. მომსახურების გაწევის თარიღებია: 2017 წლის 02 ნოემბერი.

2.2. ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 360 (სამასსამოცი) ლარს.

2.3. ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს, დაკავშირებულს მის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან, მათ შორის კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს, მოსაკრებლებს და სხვა.

2.4. ფასების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

3. მიღება-ჩაბარების წესი

3.1. მომსახურების გაწევა დასტურდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელსაც ხელს აწერენ „შემსყიდველის“ და „მიმწოდებლის“ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები.

3.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად „შემსყიდველს“ წარედგინება ანგარიშსწორებისთვის საჭირო ყველა სხვა დოკუმენტი.

4. ანგარიშსწორება მხარეთა შორის

4.1. ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით, ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4.2 ანგარიშსწორება „შემსყიდველის“ მიერ განხორციელდება საანგარიშო ანგარიშ-ფაქტურის და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი უხარისხო მომსახურების გაწევაზე.

5.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას:

5.2.1 დროულად უზრუნველყოს გაწეული მომსახურების მიღება.

5.2.2 უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების დროული გადარიცხვა მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია:

5.3.1 გაუწიოს შემსყიდველს უნაკლო და ხარისხიანი მომსახურება.

5.3.2 პასუხი აგოს გაწეული მომსახურების ხარისხზე.

5.3.3. უზრუნველყოს გაწეული მომსახურება დადგენილი პირობების შესაბამისად.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ხელშეკრულების ღირებულების 10% -ის ოდენობით.

6.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 10 (ათი) ლარისა.

6.3. საჯარიმო სანქცისა არ ათავისუფლებს მიმწოდებელსა და შემსყიდველს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. ფორს-მაჟორი

7.1. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

7.2 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელთა გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

8.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევაზე კონტროლს განახორციელებს თსსუ-ს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის მ/შ ი. კაპეტივაძე.

10. დამატებითი პირობები

10.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები და ვალდებულებები გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირს.

10.3. წინამდებარე ხელშეკრულების მოშლა შესაძლებელია, თუ ერთ-ერთი მხარე არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და ზიანს აყენებს მეორე მხარეს.

10.4. ხელშეკრულებაში დამატებებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია ორივე მხარის წერილობითი თანხმობით.

10.5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ორივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

11. დავათა განხილვის წესი

11.1 მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან დავები. იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერ გადაჭრიან დავას, იგი განიხილება სასამართლოს მიერ.

მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები

"შემსყიდველი"

თბილისის სახელმწიფო
სამედიცინო უნივერსიტეტი
ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ.№33
საიდენტიფიკაციო ნომერი 211328703
სახელმწიფო ხაზინა კოდი TRESGE22
ა/ა GE24NB0330100200165022

თსსუ-ს კანცლერი
ზურაბ ორჯონიკიძე

"მიმწოდებელი"

შპს „მუხამბაზის ბაღი"
ქ.თბილისი, ზოვრეთის ქ.,N26
საიდენტიფიკაციო ნომერი 405230254
სს თი ბი სი ბანკი, კოდი TBCBGE22
ა/ა GE69TB7403736080100007

შპს „მუხამბაზის ბაღი"-ს დირექტორი
სოფიკო თავაძე